



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„თეგეტა მოტორსი“



თეგეტა მოტორსი

„თეგეტა მოტორსი“, ჰოლდინგური კომპანია, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს ავტოპროდუქტებისა და ავტოტექნომოსახურების სრულ სპექტრს. დაფუძნდა 1995 როგორც შპს „ავტოექსპორტი“ (დაკავებული იყო ავტოსათადარიგო ნაწილების იმპორტით), 2001-იდან კი გარდაიქმნა ჰოლდინგურ კომპანიად, რ-იც, თავის მხრივ, აერთიანებს რამდენიმე კომპანიას. „თ. მ.“ ცნობილი

ბრენდია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ქვეყნის საზღვრებს გარეთაც. მას გააჩნია ფილიალები საქართველოში: თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, გორში, თელავში, ახალციხეში (2013 წ. მონაცემებით 18 ფილიალი).

„თ. მ-ის“ ცენტრ. სერვისცენტრი გაიხსნა 2008 (თბილისი) და წარმოადგენს ერთ-ერთ თანამედროვე და მოდერნიზებულ სერვისცენტრს პოსტსაბჭოთა სივრცეში. ემსახურება როგორც სატვირთო ავტომობილებს და ავტობუსებს, ასევე მსუბუქ ავტომობილებს, სპეცტექნიკას, სას.-სამ. დანიშნულების ტექნიკას. სპეც. ავტორიზებული პროგრამების მეშვეობით ახორციელებს სასოფლო, სამშ. და სპეცტექნიკის დიაგნოსტიკას და შეკეთებას. პროექტი განხორციელდა გერმ. პარტნიორთან („MAN Nutzfahrzeuge AG-თან“) ერთად. უჭირავს 10000 მ²-ზე მეტი ფართობი, აღჭურვილია დიაგნოსტიკის უახლესი დანადგარებით.

ჰოლდინგი აერთიანებს 5 შვილობილ კომპანიას: 1. შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბასი“ („Tegeta Truck & Bus“, დაარსდა 2005), რ-იც უმსხვილესი გერმ. მანქანათმშენებელი კონცერნის „მან ნუცფაარცოიგ აგ-ის“ („MAN Nutzfahrzeuge AG“) ოფიც. პარტნიორია

საქართველოში. სპეციალიზდება სატვირთო ავტომობილების, ავტობუსების, სამშ. ტექნიკის, სპეც. ტექნიკის რეალიზაციისა და რეალიზაციისშემდგომი საგარანტიო მომსახურების სფეროში; 2. შპს „Tegeta Construction Equipmen“ („თეგეტა ჩონსტრუქციონ ექუიპმენტ“, დაარსდა 2007), წარმოადგენს ბრიტანული კომპანია „ჯი-სი-ბი-ის“ (JCB) ოფიც. პარტნიორს საქართველოში, რ-იც სპეციალიზდება საგზაო და სამშ. ტექნიკის რეალიზაციისა და მისი შემდგომი საგარანტიო მომსახურების სფეროში; 3. შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელსი“ („Tegeta Premium Vehicles“, დაარსდა 2008), არის ავტომწარმოებლების „პორშესა“ (გერმანია) და „მაზდას“ (იაპონია) ოფიც. წარმომადგენელი საქართველოში; 4. შპს „ტრანსკავკასიური სადისტრიბუციო კომპანია“ (TDC, დაარსდა 2010), რ-იც დაარსების დღიდან წარმოადგენს კომპანია „შელის“ (ბრიტანეთი-ჰოლანდია) საცხეხსაპოხი მასალების რეგიონალურ დისტრიბუტორს საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში; 5. შპს „ტოიოტა ცენტრი თეგეტა“ (დაარსდა 2013), „ტოიოტას“ მარკის ავტომობილების ოფიც. დილერი და ავტორიზებული სერვისცენტრია საქართველოში. კომპანია მომხმარებელს სთავაზობს „ტოიოტას“ უახლესი მოდელების ავტომობილებს, მაღალი ხარისხის ორიგ. ავტოსათადაროგო ნაწილებს, აქსესუარებს და ტექ. მომსახურებას.

„თ. მ-ს“ ურთიერთობა აქვს მსოფლიოს მრავალ კომპანიასთან, საქართველოში კი 300-მდე პრემიუმ ბრენდის ოფიც. წარმომადგენელია დისტრიბუციის ექსკლუზიური უფლებით.

„თ. მ-მა“ საქართველოში პირველმა დანერგა (2009) ბიზნესის მართვისა და ბიზნესპროცესების ადმინისტრირების ავტომატიზებული, ძვირადღირებული თანამედროვე პროგრამა „SAP“, რ-იც უზრუნველყოფს კომპანიის ბიზნესპროცესების ავტომატიზაციას, მუშაობის ეფექტურობას, სწორი გადაწყვეტილებებისა და სწრაფი ინფორმაციის მიღებას, გარდა ამისა - ფინანსების აბსოლ. გამჭვირვალობას.

„თ. მ.“ პირველი კომპანიაა საქართველოში, რ-საც ავტომობილების გაყიდვისა და მომსახურების სფეროში ISO 9001:2000 და ISO 9001:2008 სტანდარტის საერთაშ. ხარისხის სერტიფიკატი აქვს მინიჭებული.

თ. სეფერთელაძე
